186
1975/2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

## № 2

მარტი-აპრილი

1975 წ.

22958

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1975 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

17. სამშენებლო ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მშენებლობაში ანგარიშსწორების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

18. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

19. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელ დროშასთან ერთად ფულადი პრემიების დაწესების შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

კ. მარქსის ს. ს. სსრ

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 603 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
22. რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის რევიზორთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის შესახებ
23. ქ. თბილისის № 31 ტექნიკური სასწავლებლისათვის ლენინური კომკავშირის სახელის მიკუთვნების შესახებ
24. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ
25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები
27. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის 1975 წლის რესპუბლიკური კონკურსების თემატიკის დამტკიცების შესახებ
28. საქართველოს სს ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ
29. მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამმართველოს შესახებ
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 აგვისტოს № 534 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
32. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანება დებულების დამტკიცების შესახებ
33. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების აკრძალვის შესახებ
34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 იანვრის № 18 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
35. კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოთა გაერთიანების შექმნის შესახებ
36. მეფრინველეობის მასობრივი პროფესიების მუშების მომზადების შესახებ

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

## 17 სამშენებლო ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მშენებლობაში ანგარიშსწორების მოწესრიგების მოწყობის შესახებ

საწარმოთა და ორგანიზაციათა საგადამხდელო დისციპლინისა და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების, აგრეთვე მშენებლობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს:

— დააწესონ მკაცრი და სისტემატური კონტროლი დამთავრებული ობიექტებისა და სამუშაოთა ეტაპების ჩაბარების გეგმის შესრულებისადმი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაუმთავრებელი წარმოების ზენორმატიული მოცულობის წარმოქმნის დაუშვებლობისადმი;

— არ დაუშვან სამუშაოთა წარმოება კაპიტალური მშენებლობის გეგმაში შეუტანელ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და დაფინანსების შესაბამისი საშუალებებით არაუზრუნველყოფილ ობიექტებზე;

— აკრძალონ საიჯარო სამუშაოთა გეგმების შეცვლა დაგეგმილი წლის 15 მარტის შემდეგ;

— აწარმოონ ყოველდღიური ბრძოლა უყაირათობისა და არამწარმოებლური დანახარჯების წინააღმდეგ. განიხილონ მშენებლობაში უყაირათობისა და ზარალის დამშვებ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და დასახონ ღონისძიებანი შემდგომში მათი დაუშვებლობისათვის;

— მიაღწიონ მოგების გეგმის უცილობლივ შესრულებასა და სამშენებლო წარმოების თვითღირებულების შემცირებას;

— შემკვეთებთან ერთად ყოველკვარტალურად აწარმოონ დაუმთავრებელი წარმოების ფაქტიური ნაშთების შესახებ მონაცემების უტყუარობის შეჯერება-ინვენტარიზაცია. საიჯარო ორგანიზაციებისაგან კვარტალური ანგარიშების მიღებისას მოითხოვონ დაუმთავრებელი წარმოების ნაშთებისა და შესრულებული სამუშაოებისათვის დავალიანების შესახებ მონაცემების შემკვეთებთან შეჯერების აქტები;

— ორი კვირის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს იმ ორგანიზაციების მიხედვით საკუთარი საბრუნავი სახსრების მდგომარეობის გაანგარიშება, რომლებსაც აქვთ არალიკვიდური ბალანსი.

2. დაევალოთ შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს:

— უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ საიჯარო ხელშეკრულებათა დადების დამთავრება, მოწყობილობის მიწოდების გრაფიკების, 1975 წლის მშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებისა და ობიექტების სატიტულო და შინასამშენებლო სატიტულო სიების შეთანხმება და დამტკიცება მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად და წარუდგინონ მთელი საჭირო დოკუმენტაცია ბანკების დაწესებულებებს მშენებლობის დაფინანსების განსაფორმებლად დადგენილი წესის თანახმად;

— აკრძალონ კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და მშენებლობათა სატიტულო სიების შეცვლა დაგეგმილი წლის 15 თებერვლის შემდეგ;

— მშენებლობებისათვის, რომელთა სატიტულო სიები დამტკიცებულია მშენებლობის წლების მიხედვით, ხანგრძლივობის ნორმებიდან გამომდინარე, განიხილონ საიჯარო ორგანიზაციასთან ერთად წლის დამდეგსა და დამლევს დაუმთავრებელი წარმოების მოცულობანი, აგრეთვე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში სამუშაოთა ეტაპების განსაზღვრის სისწორე;

— უზრუნველყონ, რომ საიჯარო ორგანიზაციებს სრული მოცულობით გადაერიცხოთ დროებითი საბრუნავი სახსრები (ავანსები) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაუმთავრებელი წარმოების საგეგმო მოცულობის დასაფარავად იმ ოდენობითა და ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია საიჯარო ხელშეკრულებებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

— ერთი თვის ვადაში განიხილოს მშენებლობაში ვადაგასული კრედიტორული დავალიანების მქონე ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა ფინანსური მდგომარეობა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ;

— მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე განიხილოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების შესახებ;

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსაგან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოსაგან სათანადო გაანგარიშების მიღების შემდეგ განიხილოს, შესაძლებელია თუ არა, როგორც გამონაკლისი, არალიკვიდურბალანსიან ორგანიზაციებს აღედგინოთ საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობა იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბალანსები დაყვანილ იქნეს ლიკვიდურ მდგომარეობამდე რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

4. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას:

— იმ შემთხვევებში, როცა მშენებლობა ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე და შემკვეთებს დროებით არ ექნებათ სახსრები, გააფართოონ პრაქტიკა, რათა მათ მიეცეთ კრედიტი

საიჯარო ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ანაზღაურებლად;

— 1974 წლის წლიური ანგარიშის მასალების მიხედვით განიხილონ საკითხი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ დამატებითი მოგების მიღების ღონისძიებებისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად კრედიტის მიცემის შესაძლებლობის შესახებ;

— ცალკეულ შემთხვევებში, როგორც გამონაკლისი, მისცენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დროებითი ფინანსური სიძნელეებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების უკმარისობისას გადასახდელი კრედიტი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და გაწეული მომსახურებისათვის მიმწოდებელთა ანგარიშების ანაზღაურებლად ამ სამინისტროთა და უწყებათა გარანტიით;

— 1975 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში განიხილოს წლიური ანგარიშის მასალების მიხედვით იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა დაკრედიტების საერთო წესის აღდგენის შესაძლებლობის საკითხი, რომელთა მიმართაც დიდი ხნის მანძილზე გამოყენებულია საკრედიტო სანქციები;

— დააწესოს კონტროლი იმისადმი, რომ შემკვეთებმა სრულად გადაურიცხონ საიჯარო ორგანიზაციებს სახსრები დროებითი სარგებლობისათვის დაუმთავრებელი წარმოების საგეგმო მოცულობის დასაფარავად ავანსის სახით იმ ოდენობით, რაც გამოანგარიშებულია შინასამშენებლო სატიტულო სიების, სამუშაოთა წარმოების გრაფიკებისა და საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე;

— გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ შემკვეთებმა და მოიჯარეებმა დაიცვან მშენებლობის დაფინანსების წესი და საიჯარო ხელშეკრულებათა წესები, აგრეთვე სხვა ნორმატიული დოკუმენტები კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ.

5. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

— განიხილონ თითოეულ სამშენებლო ორგანიზაციასა და საწარმოში ფინანსური მდგომარეობა და აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენება და დაამყარონ ჯეროვანი სახელმწიფოებრივი წესრიგი ამ საქმეში;

— მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა უცილობლივ შესრულდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 11 ივნისის № 386 დადგენილება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 22 აგვისტოს № 594 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილება „კაპიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლური მშენებლობის დაგეგმვის სრულყოფისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს მიმდინარე წლის მეორე და მესამე კვარტალებში შეამოწმოს რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყებაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და დასამონტაჟებელი მოწყობილობის ზენორმატიული ნაშთების შემცირების დავალებათა შესრულება და შედეგები მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს 1975 წლის სექტემბერში.

7. გაფრთხილებულ იქნენ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომ:

— მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფინანსური მდგომარეობისა და საგადამხდელო დისციპლინისათვის;

— დამთავრებული ობიექტებისა და ეტაპების მიხედვით სამუშაოთა შესრულებული მოცულობისათვის საიჯარო ორგანიზაციათა ანგარიშების არა თავის დროზე ანაზღაურება განხილულ იქნება როგორც სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევა.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ ყოველკვარტალურად მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საგადამხდელო დისციპლინის მდგომარეობის შესახებ.

9. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებას და ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილებას.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 4 მარტი, № 161

## 18 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ჩამოყალიბდეს აღნიშნული დადგენილების 1-ლი პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

— მკაცრი კონტროლი გაუწიონ საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობას და უმოკლეს ვადაში დაამყარონ სახელმწიფო წესრიგი ამ საქმეში;

— გადასინჯონ იმ მოქალაქეთა სიები, რომლებიც აღრიცხვაზე არიან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესასვლელად, და ამორიცხონ ამ სიებიდან საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილი პირები, აგრეთვე პირები, რომლებსაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დასახლებულ პუნქტში, სადაც ხორციელდება კოოპერაციული სახლის მშენებლობა;

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 553 დადგენილების მიღებამდე იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესულ და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებულ კოოპერატივების წევრთა სიების განხილვისას, რომელთა სახლების მშენებლობა არ დაწყებულა, ან მშენებლობის სტადიაშია, ანდა დამთავრდა, მაგრამ ჯერ შესახლებული არ არის, მიიღონ გადაწყვეტილებანი იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 652 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების გათვალისწინებით“.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა და მათი მართვის ორგანოთა შორის საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობის განხორციელება კოოპერატივების საქმიანობაში კანონიერების დაცვის მიზნით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი. 1975 წ. 29 აპრილი № 303

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

**19** **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშასთან ერთად ფულადი პრემიების დაწესების შესახებ**

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის უკეთ დაყენებისა და ამ სამუშაოებზე დასაქმებული მუშაკების წახალისების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების წახალისება მოხდეს საანგარიშო წლის ყოველი კვარტალის გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით, რისთვისაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშასთან ერთად რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების არსებული პირობების მიხედვით დაწესდეს ექვსი ფულადი პრემია: პირველი პრემია გარდამავალ წითელ დროშასთან ერთად, ორი მეორე და სამი მესამე პრემია შესაბამის ადგილებზე გამოსული რაიონებისათვის.

2. ფულადი პრემიების მიცემა რაიონების საწარმოო-საგზაო უბნებისათვის მოხდეს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომის დადგენილებით საწარმოო-საგზაო უბნების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების შემცირების ხარჯზე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**ო. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 11 აპრილი, № 233

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილების მე-5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თანხმობით მოახდინონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად, აგრეთვე სასკოლო შენობათა რემონტის ჩასატარებლად მათ ბიუჯეტებში გათვალისწინებული თანხების ცენტრალიზაცია რაიონის განათლების განყოფილებაში, ხოლო ახლად აშენებული სკოლების სასწავლო მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენი თანხები ცენტრალიზებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 3 მარტი, № 123

## 21 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 608 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის წესის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 608 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „1959 წლის მოსავლის თესლოვანი, კურკოვანი ხილისა და ციტრუსოვანი ნაყოფის შესასყიდი ფასების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 ივლისის № 618 დადგენილების დანართი ფორთოხლის შესასყიდი ფასების ნაწილში.

2. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, დაფნის ფოთლისა და მანდარინის შესასყიდი ფასების შემცირების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 1 აგვისტოს № 537 დადგენილების 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი მანდარინის შესასყიდი ფასების ნაწილში.

3. „იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ციტრუსოვანი კულტურების ნაყოფის (მანდარინი და ფორთოხალი) ჩასაბარებელი ფასების ნაწილში.

4. „იმის შესახებ, რომ დაიდოს მოსახლეობასთან ხელშეკრულებანი ხილის შესყიდვის თაობაზე და გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება სახელმწიფოსათვის თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის მიყიდვის გადიდებით" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 13 ივნისის № 363 დადგენილების მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 4 მარტი, № 126

## 22 რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების რევიზორთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის შესახებ

„რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 361 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს თბილისის საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმთან სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მუშაკთა გადასამზადებელი მუდმივმოქმედი ერთთვიანი კურსები სამეურნეო ანგარიშზე.

2. აღნიშნული კურსები დაუქვემდებარდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, რომელსაც დაეკისროს ამ კურსების საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

— შეიმუშაოს კურსების პროგრამა იმ ვარაუდით, რომ თეორიის საკითხები შეხამებული იყოს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის კონკრეტულ პრაქტიკასთან, მოწინავე გამოცდილების, შესრულების კონტროლისა და შემოწმების ახალი მეთოდებისა და ტექნიკის პოპულარიზაციასთან;

— მიიზიდოს კურსებზე მასწავლებლებად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მაღალკვალიფიციური მუშაკები;

— დაუგზავნოს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს კურსების ძირითადი დებულებანი;

— დაამთავროს 1975 წლის 15 აპრილამდე მთელი მოსამზადებელი მუშაობა და დაიწყოს კურსებზე სწავლება 1975 წლის 5 მაისიდან.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს:

— წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1975 წლის 25 მარტამდე კურსებზე თავიანთ კონტროლიორ-რევიზორთა გადამზადების გეგმა-განაცხადები;

— უზრუნველყონ რევიზორთა დროულად გაგზავნა სასწავლებლად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული განრიგის თანახმად.

— აანაზღაურონ კურსების თითო მსმენელის სწავლების ღირებულება 50 მანეთის ოდენობით კადრების მომზადებისათვის გამოყოფილი თავიანთი სახსრების ხარჯზე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმას-

კომს საჭირო შემთხვევებში გამოყონ სხვაქალაქელ მსმენელთათვის ადგილები ქ. თბილისის სასტუმროებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 11 მარტი, № 155

## 23 ქ. თბილისის № 31 ტექნიკური სასწავლებლისათვის ლენინური კომკავშირის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ქ. თბილისის № 31 ტექნიკურ სასწავლებელს ლენინური კომკავშირის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 12 მარტი. № 160

## 24 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ

„მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 მაისის № 223 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისში განლაგებული ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციისა და თბილისის ადგილობრივი მრეწველობის მრავალდარგოვანი საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ დანართით გათვალისწინებული საწარმოების შემადგენლობით.

აღნიშნული საწარმოო გაერთიანება დაექვემდებაროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ამასთან გავრცელდეს მასზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საწარმოო გაერთიანების შესახებ.

დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, რომ თბილისის მრავალდარგოვანი საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი 1-2 საწარმო დასპეციალდეს ქალაქ თბილისის კომუნალურ-საქალაქო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის სამუშაოთა შესრულებაზე.

2. სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ნაწარმის საწარმოო გაერთიანება და საწარმოო გაერთიანება „სიხარული“, აგრეთვე სინთეზურ-ნაკეთობათა ფაბრიკა, რომლებიც არ შესულან თბილისის მრავალდარგოვან საწარმოო გაერთიანებაში, დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებსა და ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 13 მარტი, № 169

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 13 მარტის № 169
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**თბილისის მრავალდარგოვან საწარმოო გაერთიანებაში შემავალი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისა**

1. თბილისის მრავალდარგოვანი სამრეწველო კომბინატი (მთავარი საწარმო)
2. თბილისის № 2 მექანიკური ქარხანა
3. თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა
4. თბილისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხანა
5. თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ფაბრიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

## 25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„145. ჩაის ფაბრიკების საცხოვრებელი სახლები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. **ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 28 მარტი, № 194

## 26 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დააჯარიმოს თანამდებობის პირნი და ცალკეული მოქალაქენი მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიუმართავად:

ა) ჩამდინარე წყლებითა და ნარჩენებით წყალსატევებისა და სანაპირო ზონების გაჭუჭყიანებისათვის;

ბ) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალსადენების სათავე ნაგებობათა სანიტარიული დაცვის ზონებში წესების დარღვევისათვის;

გ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რეჟიმის თვითნებურად შეცვლისათვის;

დ) რწყვის წესების სისტემატურად დარღვევისათვის, რაც იწვევს მიწის ნაკვეთების დაჭაობებას და ნიადაგის ეროზიას;

ე) ინერტული მასალების მოპოვებისათვის ისეთ ადგილებში, რომლებიც გამოყოფილი არაა ამ მიზნით, და მდინარისპირა ჭალებსა და ზღვის სანაპირო უბნებში ამ მასალების მოპოვების დადგენილი წესის დაუცველობისათვის, რაც არღვევს სანაპირო და საპლაჟე ზოლის სტაბილურობას;

ვ) ნადირობის, ტყეებისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისათვის.

დაჯარიმებას ეწევიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზონალურ ინსპექციათა უფროსები.

3. შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ბუნების დაცვის საზოგადოებრივი კომისიები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით და შეყვანილ იქნენ მათ შემადგენლობაში ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, მეურნეობათა და საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 31 მარტი, № 196

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 31 მარტის № 196
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, არის რესპუბლიკური ორგანო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში.

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციები და ჰიდროქიმიური ლაბორატორიები, რომელთა ფუნქციებს განსაზღვრავს კომიტეტი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

ა) განახორციელებს კონტროლს სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) მიწების, წყლის, ტყეების, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებისადმი, მიწების რეკულტივაციის, ნიადაგების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვისადმი, საწმენდ ნაგებობათა მუშაობისადმი და ჩამდინარე (სამრეწველო, დრენაჟის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო) წყლების ჩაშვებისადმი, წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობის, დაჭაობების, წარეცხვის, ნიადაგების წყლისმიერი ეროზიის, ღვარცოფების და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის და ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესრულებისადმი, სამონადირეო მეურნეობის სწორად გაძღოლისადმი, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვა-შენარჩუნებისა და გამდიდრების და სანაკრძალო საქმის მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი;

ბ) შეამოწმებს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონთა, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას;

გ) შეიმუშავებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მეწყრისა და ზვავის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს საჭირო მასალებს დადგენილ ვადებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ... საჯარო ...

განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკაში მეწყრის, ზვავის და ზღვის ნაპირის ნგრევის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმოებული სამუშაოებისადმი და კოორდინაციას გაუწევს მათ, აგრეთვე განახორციელებს ტექნიკურ კონტროლს არსებულ მეწყერსაწინააღმდეგო და ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობათა ექსპლუატაციისა და მდგომარეობისადმი;

დ) შეასრულებს საქართველოს სსრ წყლის კოდექსით გათვალისწინებულ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოს ფუნქციებს;

ე) მოამზადებს სარესპუბლიკათაშორისო შეთანხმებებს ერთობლივი გამოყენების ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გამოყენებისა და დაცვის შესახებ;

ვ) შეიმუშავებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად წინადადებებს ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენების, აგრეთვე კვლავწარმოების (აღდგენის, გადიდების) შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ზ) კოორდინაციას გაუწევს სამინისტროთა, უწყებათა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას ბუნებრივი რესურსების დაცვა-შენარჩუნების, აღდგენისა და კვლავწარმოებისათვის;

თ) განიხილავს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ შემუშავებულ, შესათანხმებლად წარსადგენ ღონისძიებათა პროექტებს ბუნებრივი რესურსების დაცვის, მათი რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების შესახებ;

ი) მონაწილეობას მიიღებს სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ობიექტებისათვის სამრეწველო და სხვა ობიექტების გაფართოებისათვის ნაკვეთების შემრჩევ კომისიებში;

კ) განიხილავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის, ტერიტორიული დაგეგმარების სქემებს, საწარმოებისა და საამქროების, აგრეთვე სხვა სახალხო-სამეურნეო (სამელიორაციო, სამთო-მოპოვებითი, სასოფლო-სამეურნეო, საბინაო-კომუნალური და სხვ.) ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის თვალსაზრისით და გასცემს მათ შესახებ დასკვნებს;

ლ) მონაწილეობას მიიღებს სახალხო-სამეურნეო ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების მუშაობაში;

მ) განიხილავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, დაცვისა და კვლავწარმოებისათვის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს;

ნ) პროპაგანდას გაუწევს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებით ცოდნას ბუნების, მისი დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების შესახებ;

ო) შექმნის კომისიებს, სამუშაო ჯგუფებს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე წინადადებათა და რეკომენდაციათა შესამუშავებლად, მიიზიდავს ამ მიზნით მა-

ღალკვალიფიციურ მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოაწყობს დადგენილი წესით თათბირებს, კონფერენციებს, სემინარებს, კურსებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი მთელი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, საწარმოსათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის.

5. მიწის, ტყის სავარგულებისა და ლანდშაფტების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ:

— სამინისტროებმა, უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, აგრეთვე მოქალაქეებმა დაიცვან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწისა და ტყის კანონმდებლობით გათვალისწინებული ბუნების დაცვის მოთხოვნები, სახალხო-სამეურნეო მშენებლობისათვის მიწების გამოყოფისას, დაცვითი, სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ზონების გამოყოფისას მიწათსარგებლობის დაწესებული ნორმატივები;

— უზრუნველყოფილ იქნეს ტყისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ძვირფასი ბუნებრივი ლანდშაფტების, ტყეების წყალდაცვითი, წყალსარეგულირებელი, მინდორსაცავი და სხვა დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება;

— უზრუნველყოფილ იქნეს მიწისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება სამელიორაციო მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, აგრეთვე ბუნების გარდაქმნასთან ან ლანდშაფტების ფორმირებასთან დაკავშირებული სხვა სამეურნეო საქმიანობის დროს;

— შესრულდეს არამადნეული საშენი მასალების კარიერების რეკულტივაციის ნორმები, წესები, ვადები და ხარისხი, გადაეცეს ისინი სოფლის მეურნეობაში შემდგომი გამოყენებისათვის;

— შესრულდეს ეროზიისაგან, დამლაშებისაგან, აგრეთვე სამრეწველო ნარჩენებითა და შხამქიმიკატებით გაჭუჭყიანებისაგან ნიადაგების დაცვის სავალდებულო ღონისძიებათა კომპლექსი.

6. წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

ა) განახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ ყველა სამინისტრომ, უწყებამ, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და მოქალაქემ დაიცვას წყლის გამოყენების დადგენილი წესი, შეასრულოს მოვალეობანი წყლის დაცვის, მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის, დაიცვას წყლის აღრიცხვის წარმოების წესები, აგრეთვე წყლის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესები; გასცემს ნებართვას წყლის რეჟიმის შესაცვლელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოამზადებს წინადადებებს წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, რესპუბლიკური მნიშვნელობის წყალსამეურნეო ბალანსების პროექტების შესამუშავებლად, აგრეთვე შეიმუშავებს მდინარეთა აუზების მიხედვით წყალმოსარგებლეთა შორის წყლის განაწილების გეგმებს;

გ) მოაწყობს და განახორციელებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყალმოსარგებლეთა მიერ წყლის მოხმარების აღრიცხვას, აგრეთვე განახორციელებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა წყალსამეურნეო ობიექტების მიერ ჩაშვებული ჩამდინარე წყლების ლაბორატორიულ გამოკვლევებს;

დ) განიხილავს და შეათანხმებს:

— წყლის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის პროექტებს;

— ქალაქების, სამრეწველო კვანძების, საწარმოებისა და სხვა ობიექტების წყალმომარაგების წყაროების განლაგებასა და პროექტებს;

— წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გენერალურ გეგმებს, სქემებს, სამელიორაციო სისტემათა პროექტებსა და სხვა საპროექტო ნამუშევრებს, რომლებიც ითვალისწინებენ წყლის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენ ღონისძიებებს;

— წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელების პერსპექტიულ გეგმათა და წლიურ გეგმათა პროექტებს, რომლებსაც შეიმუშავებენ სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები;

— სამშენებლო, ფსკერგასაღრმავებელ და ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოებას, სასარგებლო წიაღისეულისა და წყლის მცენარეთა მოპოვებას, კაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანას, ტყის ჭრას, საბურღ, სასოფლო-სამეურნეო და წყლის მდგომარეობაზე გავლენის მომხდენ სხვა სამუშაოებს წყლის ობიექტებზე ან წყალსატევთა სანაპირო ზოლებში (ზონებში);

— გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან წყლის რესურსების დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს;

— წყლის მოხმარებისა და არინების ნორმებს წყალსატევებში ჩასაშვები წყლის ხარისხის გათვალისწინებით, რასაც შეიმუშავებენ წყლის ობიექტებით მოსარგებლე სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები;

ე) გადასცემს დადგენილი წესით სამინისტროებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და სხვა წყალმოსარგებლეებს უვადო ან დროებით სარგებლობაში ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის წყლის ობიექტებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ვ) გასცემს ნებართვას სხვადასხვა სახის (განცალკევებული, სპეციალური და სხვ.) წყალსარგებლობისათვის, ამასთან აღნიშნავს მოცემული წყლის ობიექტით სარგებლობის პირობებს;

ზ) დაამტკიცებს წყალსაცავების ექსპლუატაციის წესებს, რომელთაც შეიმუშავებენ წყალსაცავების გამომყენებელი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

7. ფაუნის დაცვის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

ა) კონტროლს გაუწევს სატყეო მეურნეობის ორგანოთა საქმიანობას სამონადირეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკებისადმი ხელმძღვანელობის დარგში, ყველა სამინისტროს, უწყებისა და საზოგადოების მიერ ფაუნის შენარჩუნებისა და კვლავწარმოების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის დაცვას, აგრეთვე სახელმწიფო ნაკრძალებისა და აღკვეთილების საქმიანობას ბუნების დაცვისათვის, გასცემს დასკვნებს ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების შექმნის საკითხებზე;

ბ) მოამზადებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს რესპუბლიკაში ლანდშაფტური, სატყეო, ბოტანიკური, ზოოლოგიური, ორნიტოლოგიური და სხვა სახელმწიფო აღკვეთილების შექმნის შესახებ.

8. ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

ა) სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად განახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები და საწარმოები პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სამრეწველო და სხვა მავნე ამონაფრქვევებით გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ;

ბ) შეათანხმებს სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების მიერ შემუშავებულ ორგანიზაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის ღონისძიებათა გეგმებს ჰაერის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების საკითხებზე და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს კონტროლს თევზდაცვის ორგანოებისა და თევზმომპოვებელი ორგანიზაციების მიერ თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების თაობაზე კანონმდებლობის შესრულებისადმი, აგრეთვე საქართველოს სსრ წყალსატევებში რეწვის რაციონალურად წარმოებისადმი.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს საწარმოები, ორგანიზაციები, მეურნეობები, ექსპედიციები, საძიებო პარტიები, მშენებლობები, საწყობები და ბაზები, აგრეთვე სხვა ობიექტები და ტერიტორიები ბუნებრივი რესურსების დაცვის მდგომარეობის გამორკვევისა და მათი სწორად გამოყენების მიზნით.

ამასთან კომიტეტის წარმომადგენლებს უფლება აქვთ შევიდნენ აღნიშნულ ობიექტებში თავიანთი სამსახურებრივი მოწმობებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) შეიყვანოს თავისი წარმომადგენელი მრეწველობის ყველა დარგის, ტრანსპორტის საწარმოების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების, წყლის აღების, ჩამდინარე წყლების გამოშვებისა და საწმენდ ნაგებობათა განლაგების ადგილების საექსპლუატაციოდ მიმღებ კომისიებში;

გ) მოსთხოვოს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ანგარიშები, საინფორმაციო და სხვა მასალები ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და კვლავწარმოების საკითხებზე, გამოართვას თანამდებობის პირებს ახსნა-განმარტებანი, მოისმინოს სამინისტროების, უწყებებისა და მათი საქვეუწყებო ორგანიზაციების, მეურნეობებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშები ბუნების დაცვისა და გამოყენების საკითხებზე;

დ) მიიღოს გადაწყვეტილებანი, განკარგულებანი, მისცეს საწარმოთა, მეურნეობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მათ მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ; აკრძალოს ბუნების არაკანონზომიერად გამოყენება, რის შესახებაც აცნობოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ე) აკრძალოს ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, აგრეგატების, კომუნალური ობიექტების, საშრობი, საწყლიერებელი და სარწყავი სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ჭაბურღილების და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა მანამ, სანამ არ შესრულდება ბუნებრივ გარემოზე მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის პროექტებით გათვალისწინებული ყველა სამუშაო; შეაჩეროს მოქმედი საწარმოების, საამქროებისა და სხვა ობიექტების მუშაობა, თუ მათ დაწესებულ ვადებში არ განუხორციელებიათ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამდინარე წყლების, კვამლის, გაზების და სხვა საწარმოო ნარჩენებისა და ამონაფრქვევების გაწმენდას და გაუვნებლებას;

ვ) აუკრძალოს სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებსა და ცალკეულ მოქალაქეებს ბუნებრივი რესურსების გამოყენება, თუ მათ იყენებენ არარაციონალური მეთოდებით, მავნე შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებათა განუხორციელებლად;

ზ) მისცეს დადგენილი წესით ადმინისტრაციულ და მატერიალურ პასუხისგებაში (ჯარიმა) ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესის კანონთა, დადგენილებათა, განკარგულებათა დამრღვევი პირნი, ხოლო საჭირო შემთხვევებში აღძრას საკითხი მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით ბუნების დაცვის საკითხებზე და ამ დებულებით.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა, ინსპექციების, განყოფილებებისა და ჰიდროქიმიური ლაბორატორიების უფროსთა პასუხისმგებლობას.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს კომიტეტის მუშაობას;

ბ) კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედ კანონთა, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, გასცემს მითითებებს, რაც სავალდებულოა შესასრულებლად საქვეუწყებო ქვედანაყოფებისათვის, და შეამოწმებს მათ შესრულებას; საჭირო შემთხვევებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად;

გ) დაუწესებს და შეუცვლის თანამდებობრივ განაკვეთებს კომიტეტის ცენტრალური აპარატის, ზონალურ ინსპექციათა და ჰიდროქიმიურ ლაბორატორიათა მუშაკებს, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

დ) დანიშნავს და დაითხოვს დადგენილი წესით კომიტეტის, ზონალურ ინსპექციათა და ჰიდროქიმიურ ლაბორატორიათა მუშაკებს.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით და კოლეგიის წევრები კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთაგან.

კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური, კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის ძირითად საკითხებს, ზონალური ინსპექციებისა და ჰიდროქიმიური ლაბორატორიებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს; უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, მოისმენს ზონალურ ინსპექციათა და ჰიდროქიმიური ლაბორატორიების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

## 27 სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის 1975 წლის რესპუბლიკური კონკურსების თემატიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი თემატიკა 1975 წლის რესპუბლიკური კონკურსებისა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის:

### მეტალურგიის, ქიმიისა და სამთამადნო მრეწველობის ხაზით

— კონკურსი მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში ტექნოლოგიის სრულყოფის, ტექნოლოგიურ პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

### ენერგეტიკის, ელექტროტექნიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის ხაზით

— კონკურსი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში წარმოების ტექნოლოგიის ინტენსიფიკაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ელექტროტექნიკურ დანადგართა და ელექტრონულ ხელსაწყოთა დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

### მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით

— კონკურსი სახალხო მეურნეობაში დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

— კონკურსი ხის დამმუშავებელ მრეწველობაში სიბრტყეთა გახეხვისა და გაპრიალების ავტომატური ხაზის დანერგვის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის, გასაპრიალებელი მასალების ტენიანობის გაზომვითა და რეგულირებით;

### სოფლის მეურნეობის ხაზით

— კონკურსი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

— კონკურსი სეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაცვის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

— კონკურსი ყინვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაცვის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

### კვების მრეწველობის ხაზით

— კონკურსი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის პროდუქციის ხარისხის მართვის მეთოდების დანერგვისა და ტექნოლოგიის სრულყოფის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

### მსუბუქი მრეწველობის ხაზით

— კონკურსი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის მართვის მეთოდების დანერგვისა და ტექნოლოგიის სრულყოფის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

### მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოსათვლელი ტექნიკის ხაზით

— კონკურსი მსხვილი ეკონომიური ობიექტის (სამინისტრო, უწყება, გაერთიანება, საწარმო) დაგეგმვისა და მართვის დარგში ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების საუკეთესო პროგრამის შექმნისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 3 აპრილი, № 203.

## 28 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის, წარმოების კონცენტრაციის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით და „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 139 დადგენილებისა და „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 მაისის № 223 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო, და მისი საქვეუწყებო საწარმოები და გაერთიანებანი უშუალოდ დაექვემდებარონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ამოირიცხოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების მე-3 პუნქტიდან და აღნიშნული დადგენილების დანართიდან საკითხები, რომლებიც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს შექმნას შეეხება, და ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 მარტის № 169 დადგენილება.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილონ 1976 წლის გეგმის პროექტთან ერთად საკითხი და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაეცეს 1-2 საწარმო ქ. თბილისის კომუნალურ-საქალაქო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის სამუშაოთა შესასრულებლად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებსა და ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ყიყნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 3 აპრილი, № 213

## 29 მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამმართველოს შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 აგვისტოს № 486 დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად და მესტიის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ყოფილი სოფლის მეურნეობის სამმართველო არსებული შტატითა და დაფინანსებით დარჩეს მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში და ეწოდოს მას „მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამმართველო".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ყიყნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 15 აპრილი, № 235

## 30 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 აგვისტოს № 534 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 აგვისტოს № 534 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად ყოველკვარტალური კინოალმანახის გამოცემის ხელმძღვანელობა (მასალების მომზადება, მისი იდეურ-მხატვრული დონის უზრუნველყოფა) და დაფინანსება დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს ამ მიზნით შექმნას თავის უშუალო დაქვემდებარებაში ცალკე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სარეკლამო-საგამომცემლო განყოფილება.

აღნიშნული განყოფილება შეიქმნას კინოფილმების გამქირავებელ რესპუბლიკურ კანტორასთან არსებული ინფორმაციისა და რეკლამის ბიუროს ბაზაზე.

ალმანახის გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფაროს კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაადიდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სარეკლამო-საგამომცემლო განყოფილების მმართველობის აპარატის რიცხოვნობა 4 ერთეულით და თვიური ხელფასის ფონდი 340 მანეთით, რისთვისაც კომიტეტს 1975 წლის 8 თვის ზღვრული ასიგნება გაუდიდოს 2,9 ათასი მანეთით, ხოლო წლიური ასიგნება — 4,3 ათასი მანეთით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისათვის ამ მიზნით საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ქაღალდის გამოყოფა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა კინოალმანახი გამოსცეს შეკვეთის წესით და უზრუნველყოს სათანადო პოლიგრაფიული ბაზით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 15 აპრილი, № 236

## 31 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველო გარდაიქმნა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს აზოვ-შავიზღვის აუზის მთავარი სამმართველოს საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიაში, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია სასამართლო წესით იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, და საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ნაცვლად მასში ჩაიწეროს ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 21 აპრილი, № 247

## 32 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წლის 22 აპრილი № 256

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 22 აპრილის № 256
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანების შესახებ

### I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანება — თბილისის კომუნალური გაერთიანება შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 დეკემბრის № 682 დადგენილების შესაბამისად.

2. თბილისის კომუნალური გაერთიანება ექვემდებარება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

3. თბილისის კომუნალური გაერთიანება არის ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, რომელიც შედგება დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კომუნალური მეურნეობის სამრეწველო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

4. გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებანი და მითითებანი ზემდგომმა ორგანოებმა შეიძლება მისცენ მხოლოდ გაერთიანების სამმართველოს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ზემდგომმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების უფლებათა მტკიცედ დაცვა, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს გაერთიანების მიერ თავის მოვალეობათა შესრულებას და მისთვის მინიჭებული უფლებების სწორად გამოყენებას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 დეკემბრის № 682 დადგენილების შესაბამისად თბილისის კომუნალურ გაერთიანებაზე ვრცელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი დებულება სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა შესახებ, კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

6. თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ზოგადი დებულებით სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა შესახებ, დებულებით სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით.

7. თბილისის კომუნალური გაერთიანება ხელმძღვანელობს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს და მათ მიმართ არის ზემდგომი ორგანო, ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებანი და მოვალეობანი, არის იურიდიული პირი, აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკის შესაბამის კანტორაში, ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

## II. გაერთიანების ამოცანები

8. თბილისის კომუნალური გაერთიანების მთავარი ამოცანებია:

— წარმოების განვითარება და სრულყოფა, შესაბამის სახეობათა პროდუქციაზე (მომსახურებაზე) სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება;

— ოპტიმალური გეგმების შემუშავება, წარმოების, მოგებისა და სახელმწიფო გეგმების სხვა მაჩვენებელთა მიხედვით დაწესებული დავალებების შესრულება, ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმის შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა;

— მთელი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების უზრუნველყოფა, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, აგრეთვე ნედლეულის კომპლექსური გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლების საფუძველზე, კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება და ეფექტიანობის ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და სრულად გამოყენების უზრუნველყოფა;

— გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის მიწოდების (მომსახურების) ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა დადგენილი ოდენობითა და ვადებში;

— სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარებისა და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა;

— დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მართვაში ეკონომიური მეთოდების როლის ამაღლება;

— მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება, შრომის ყველაზე ხელსაყრელი და უსაფრთხო პირობების შექმნა.

## III. გაერთიანების ხელმძღვანელობა

9. გაერთიანების ხელმძღვანელობას ახორციელებს გაერთიანების აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას გაერთიანების უფროსი, რომელიც მოქმედებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმმართველობის საფუძველზე. გაერთიანების უფროსს თანამდებობაზე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კომუნალური გაერთიანების უფროსი წარმართავს გაერთიანების მთელ მუშაობას და ეკისრება პასუხისმგებლობა მისი საქმიანობისათვის.

10. კომუნალური გაერთიანების უფროსი წარმოადგენს გაერთიანების ინტერესებს ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განაგებს გაერთიანების სამმართველოს ქონებას, დადებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, გახსნის ბანკებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს.

11. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების უფროსი გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღებს სამუშაოზე და დაითხოვს სამუშაოდან გაერთიანების აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით — გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს, გამოიყენებს გაერთიანების სისტემის მუშაკთა მიმართ წახალისების ზომებს და დაადებს მათ სასჯელს.

12. გაერთიანების უფროსი გააუქმებს გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან გასცემს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს მათ ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ეს ბრძანებანი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებასა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

13. გაერთიანების მთავარ ინჟინერს, გაერთიანების უფროსის მოადგილეებს, გაერთიანების მთავარ ბუღალტერს, გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებულ თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით თანამდებობაზე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით გაერთიანების უფროსის წარდგინებით.

14. გაერთიანების უფროსის მოადგილეთა კომპეტენციას და გაერთიანების სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა კომპეტენციას განსაზღვრავს გაერთიანების უფროსი მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად

გაერთიანების მთავარი ინჟინერი და გაერთიანების უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგენენ გაერთიანების ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

15. კომუნალური გაერთიანების სამმართველოს შენახვის ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯები დაიფარება გაერთიანების მიერ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელებით მიღებული შემოსავლის ხარჯზე, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა იმ ანარიცხების ხარჯზე, რაც წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულებას განეკუთვნება. კომუნალური გაერთიანების სამმართველოს შენახვის ხარჯების ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს და შეცვლის გაერთიანების უფროსი ამ მიზნებისათვის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებულ ასიგნებათა საერთო თანხის ფარგლებში (ხელფასის ფონდის გამოყოფით).

გაერთიანების აპარატის სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას დაამტკიცებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

16. გაერთიანების სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას დაამტკიცებს ზემდგომი ორგანო. გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფები და სამსახურები მოქმედებენ გაერთიანების უფროსის მიერ დამტკიცებული მათი დებულებების შესაბამისად. გაერთიანების სამმართველოს საშტატო განრიგებას დაამტკიცებს გაერთიანების უფროსი.

17. გაერთიანების მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს დააწესებს და შეცვლის გაერთიანების უფროსი თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემის შესაბამისად გაერთიანების ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით.

გაერთიანების სამმართველოს მიერ ცალკეულ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციათა ცენტრალიზებული შესრულებისას გაერთიანების სამმართველოს მუშაკთა რიცხოვნობას, ხელფასის ფონდს და გაერთიანების სამმართველოს მიერ ამ ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო მისი შენახვის ხარჯების საერთო ოდენობას განსაზღვრავს გაერთიანების უფროსი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სამმართველო აპარატის შენახვისათვის გამოყოფილ ასიგნებათა საერთო თანხისა და მთლიანად გაერთიანების ხელფასის ფონდის ფარგლებში და ხარჯზე.

18. იმ მიზნით, რომ გაერთიანების ინტერესები ერწყმოდეს გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ინტერესებს, აგრეთვე გაძლიერდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა მთლიანად გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის, გაერთიანებაში შეიქმნება გაერთიანების საბჭო.

გაერთიანების საბჭოში შედიან გაერთიანების უფროსი, გაერთიანების მთავარი ინჟინერი, გაერთიანების უფროსის მოადგილეები, გაერთიანების ქვედანაყოფთა უფროსები, აგრეთვე შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენელი.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები და გაერთიანების ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეა გაერთიანების უფროსი.

გაერთიანების საბჭო განიხილავს:

მთლიანად კომუნალური გაერთიანების, აგრეთვე მის საქვეუწყებო ორგანიზაციათა განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს, ანგარიშებს გაერთიანების, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ; ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის საკითხებს, იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქვეუწყებო ორგანიზაციათა სპეციალიზაციისა და კოოპერირების უზრუნველყოფას, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას; შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის საკითხებს და კომუნალური გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხებს.

გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება კომუნალური გაერთიანების უფროსის ბრძანებით.

საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხებში გაერთიანების უფროსსა და გაერთიანების საბჭოს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გაერთიანების უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობის შესახებ მოახსენებს ზემდგომ ორგანოს. საბჭოს წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ ზემდგომ ორგანოს.

19. საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის განვითარების ტექნიკურ და ეკონომიურ პრობლემათა განსახილველად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციების შესამუშავებლად გაერთიანებაში შეიქმნება ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, წარმოების ნოვატორების, სამეცნიერო-კვლევით და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას დაამტკიცებს კომუნალური გაერთიანების უფროსი.

## IV. კომუნალური გაერთიანების ქონება

20. თბილისის კომუნალური გაერთიანების ქონებას შეადგენენ გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი, ფონდები და მისთვის მიჩენილი სხვა ქონება, აგრეთვე გაერთიანების ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი, ფონდები, რეზერვები და მისთვის მიჩენილი სხვა ქონება.

გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებში, ხოლო გაერთიანების სამმართველოსათვის მიჩენილი ქონება — გაერთიანების სამმართველოს დამოუკიდებელ ბალანსში. აღნიშნული ბალანსები შეიტანება გაერთიანების კრებსით ბალანსში.

კომუნალურ გაერთიანებას გამოეყოფა შემდეგი ფონდები და რეზერვები:

— წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდი;

— მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი;

— მეცნიერული კვლევის ფონდი;

— ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდი;

— ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის ხელშეწყობის ფონდი;

— კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვი;

— საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად განკუთვნილი რეზერვი.

21. კომუნალური გაერთიანების სამმართველოს უფლება აქვს:

— გადაანაწილოს მოგება, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები (საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმოების განვითარების ფონდში გადასაცემი ანარიცხების გარდა) და სხვა სახსრები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გადანაწილდეს გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო გეგმების მიხედვით;

— ამოიღოს საქვეუწყებო ორგანიზაციებისაგან ზედმეტი (ზენორმატიული) საბრუნავი სახსრები ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშის მიხედვით მათი გადანაწილების წესით ან მათი საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლისას;

— გადაანაწილოს გაერთიანების შიგნით (ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მომარაგება-გასაღების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის გათვალისწინებით) ზედმეტი და საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოუყენებელი მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სათბობი და სხვა მატერიალური რესურსები არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა მას შემდეგ, რაც საწარმო, ორგანიზაცია გაუგზავნის შეტყობინებას ზედმეტობის არსებობის შესახებ;

— ნება დართოს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადასცენ უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე სხვა სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დემონტირებული, აგრეთვე ზედმეტი და გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება (კაპიტალური მშენებლობის ბალანსზე არსებული მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების და დასაკომპლექტებლად მიღებული მოწყობილობის გარდა) იმ შემთხვევაში, თუ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო უარს იტყვიან ამ ქონების გადანაწილებაზე.

22. გაერთიანება თავისი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებს მისდამი მიჩენილი ქონებისათვის. გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებენ მათდამი მიჩენილი ქონებისათვის.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

## V. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

23. გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობისა და განხორციელების უფლებას ასრულებენ გაერთიანების უფროსი და მოვალეობათა დადგენილი განაწილების შესაბამისად — მისი მოადგილეები და გაერთიანების სხვა თანამდებობის პირნი.

24. გაერთიანება შეისწავლის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას შესაბამის სახეობათა პროდუქციასა და მომსახურებაზე, გამოავლენს მოსახლეობის მოთხოვნის სტრუქტურას და ამის საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივების შესაბამისად, შეიმუშავებს ან მონაწილეობას მიიღებს მოცემული დარგის ტექნიკური და ეკონომიური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავებაში.

25. ზემდგომი ორგანოების დავალებათა საფუძველზე და დარგის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით შესაბამის სახეობათა პროდუქციაზე ქ. თბილისის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გამოვლინებული მოთხოვნილების მიხედვით თბილისის კომუნალური გაერთიანება:

— მოაწყობს მუშაობას გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შესადგენად, ამასთან უზრუნველყოფს გეგმათა ყველა განაყოფის ურთიერთკავშირს;

— განიხილავს ქვედანაყოფთა და მთლიანად გაერთიანების გეგმების შემუშავებულ პროექტებს და წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს გაერთიანების გეგმათა პროექტებს.

ხუთწლიანი და წლიური გეგმების დავალებებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებული მაჩვენებლების სისტემის ფარგლებში დაამტკიცებენ ზემდგომი ორგანოები მთლიანად გაერთიანების მიხედვით გაერთიანების ხელმძღვანელობასთან წინასწარი განხილვის შემდეგ.

გაერთიანებისათვის დაწესებული საგეგმო დავალებანი უნდა ითვალისწინებდნენ შინაგანი რეზერვების სრულ გამოყენებას, აგრეთვე უნდა იყვნენ ურთიერთდაკავშირებული და უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით, ხელფასის ფონდით, რაც აუცილებელია ამ დავალებათა შესასრულებლად.

26. დაწესებულ საგეგმო დავალებათა საფუძველზე გაერთიანება დაუმტკიცებს გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხუთწლიანი და წლიური გეგმების დავალებებს მაჩვენებლების დაწესებული სისტემის ფარგლებში, აგრეთვე შეიმუშავებს და დაამტკიცებს ხუთწლიან და წლიურ გეგმებს მთლიანად გაერთიანების მიხედვით.

27. გაერთიანებას შეუძლია დაუდოს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამუშაოთა კომპლექსური განხორციელების თაობაზე, მეცნიერული კვლევის, წარმოების დაპროექტების და ახალ სახეობათა ნაწარმის მიწოდების (მომსახურების გაწევის) ჩათვლით.

28. გაერთიანება უზრუნველყოფს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, განახორციელებს კონტროლს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ვადების დაცვისადმი, მოაწყობს გამოცდილების გაზიარებას და სოციალისტურ შეჯიბრებას, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის კონკურსებსა და დათვალიერებებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად.

29. გაერთიანება მომარაგება-გასაღების მოქმედი სისტემის გათვალისწინებით განახორციელებს საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, გაანაწილებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა შორის მატერიალური რესურსების გაერთიანებისათვის გამოყოფილ ფონდებს, აგრეთვე გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში ამ ფონდებს საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით.

30. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც არ შედიან მოცემული გაერთიანების შემადგენლობაში, ფონდები და მატერიალური რესურსები, რაც საჭიროა პროდუქციის დასამზადებლად ან მთლიანად გაერთიანებისათვის ანდა მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სამუშაოთა შესასრულებლად.

31. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობა და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქცია ხდება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სატიტულო სიების მიხედვით.

32. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების გაფართოების (რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს დაამტკიცებს და გადაამტკიცებს გაერთიანება ობიექტების გაფართოების (რეკონსტრუქციის) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შესაბამისად.

33. გაერთიანებას უფლება აქვს ნება დართოს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს განახორციელონ ერთეული ფასდების მიხედვით (უხარჯთაღრიცხვოდ) ათი ათას მანეთამდე ღირებულების ობიექტების კაპიტალური რემონტის დაფინანსება.

34. გაერთიანებას უფლება აქვს ცენტრალიზებულად შეასრულოს გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები.

35. გაერთიანება უზრუნველყოფს გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორ გამოყენებას, აგრეთვე ახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდის, მატერიალური წახალისების ფონდისა და სხვა წამახალისებელი ფონდების სწორად ხარჯვისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას ხელფასის ფონდის რეზერვი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

36. გაერთიანებას შეუძლია ნება დართოს მის შემადგენლობაში შემავალ და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებზეც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ, გამოიყენონ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით დაწესებული ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელფასის დაგეგმილი ფონდის ნაწილი იმისათვის, რათა დაუწესონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მუშაკთა ცალკეულ კატეგორიებს ხელფასის დანამატები მათი თანამდებობრივი სარგოების 30 პროცენტის ოდენობით.

37. გაერთიანებას შეუძლია ცალკეულ შემთხვევებში ნება დართოს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს დაუწესონ განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს სატარიფო განაკვეთების ნაცვლად სარგოები თვეში 200 მანეთამდე ოდენობით (მაგრამ არა უმეტეს ოსტატთა თანამდებობრივი სარგოებისა 30 პროცენტი დანამატის გათვალისწინებით) საწარმოს ხელფასის დაგეგმილი ფონდის ფარგლებში და აღნიშნული მიზნებისათვის დახარჯოს ამ ფონდის არა უმეტეს 0,2 პროცენტისა.

38. გაერთიანება ახორციელებს პრემირებას და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნებას რთავს გასცენ პრემიები ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასეთ პრემირებას საწარმოები და ორგანიზაციები დამოუკიდებლად ახორციელებენ.

39. გაერთიანების უფროსს შეუძლია გაერთიანების სამმართველოს მუშაკებს, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს მისცეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მივლინების უფლება.

40. გაერთიანება მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუმტკიცებს სამმართველოს აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მთლიანად გაერთიანებისათვის ამ მიზნით დაწესებულ ასიგნებათა ფარგლებში.

41. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მოგებიდან გაერთიანების სამმართველო ცენტრალიზებულად მოახდენს მთლიანად გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

42. თბილისის კომუნალური გაერთიანების სამმართველოს შეუძლია მისცეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს დავალებანი იმის შესახებ, რომ უდავოდ ჩამოსწერონ მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებიდან საფინანსო გეგმების მიხედვით გადანაწილების წესით ამოსაღებად გათვალისწინებული სახსრები, წლიური ანგარიშების მიხედვით ჭარბი საკუთარი საბრუნავი სახ-

სრები ან საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლასთან ან საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სახსრები, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ცენტრალიზებული ფონდებიდან და რეზერვებიდან დაბრუნების პირობებით მიღებული და დადგენილ ვადებში დაუბრუნებელი სახსრები.

43. გაერთიანება შეავსებს გაერთიანების ან მისდამი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიზეზით მთლიანად გაერთიანებაში წარმოქმნილ საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობას ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით, რაც უზრუნველყოფს რენტაბელობის ამაღლებას მომდევნო პერიოდებში, ხოლო საჭიროების შემთხვევებში აგრეთვე იმის ხარჯზე, რომ დროებით (ორ წლამდე) შეამციროს შესაბამისად გაერთიანების სამმართველოს ან საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხები 30 პროცენტამდე.

44. გაერთიანება დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს, აგრეთვე ზემდგომ ორგანოს განაცხადებს გაერთიანებისათვის საჭირო კრედიტებზე და თავის განკარგულებაში დაიტოვებს რეზერვს საკრედიტო გეგმებით დაწესებული კრედიტების თანხიდან.

გაერთიანებას შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით გაერთიანებაში ღონისძიებათა ცენტრალიზებულად განხორციელებისათვის და ეკისრება პასუხისმგებლობა მიზნობრივი დანიშნულებით კრედიტის გამოყენებისა და მისი დროულად დაბრუნებისათვის.

45. გაერთიანებას შეუძლია ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან და ნება დართოს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩამოსწერონ თავიანთი ბალანსებიდან მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტები, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიურად მიზანშეუწონელია და მისი რეალიზაცია არ შეიძლება, აგრეთვე ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული ან დაძველებული სამი ათას მანეთამდე ღირებულების შენობა-ნაგებობანი.

46. გაერთიანება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილი წესით განახორციელებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და შეადგენს ანგარიშგებას, წარუდგენს შესაბამის ორგანოებს დაწესებულ ვადებში კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს მთლიანად გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას, გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ანგარიშგების შედგენასა და დროულად წარდგენას დამტკიცებული ფორმების და მაჩვენებლების მიხედვით და უზრუნველყოფს მის უტყუარობას, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიც-

ხვის შემდგომი სრულყოფისათვის, საანგარიშო-გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის.

47. გაერთიანება განიხილავს და დაამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს.

48. გაერთიანების საქმიანობის შემოწმებებსა და რევიზიებს მოაწყობენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სხვა ორგანოები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

49. გაერთიანება სისტემატურ კონტროლს გაუწევს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს.

50. გაერთიანება შეამოწმებს და რეგულარულად მოაწყობს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს, უზრუნველყოფს მათი სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების შენახვას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას.

## 33 საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების აკრძალვის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში ერთგვარად შემცირდა შავი ზღვის პლაჟის ზოლის სიგანე, რაც გამოწვეულია ზღვაში ჩამავალ მდინარეთა კალაპოტებსა და ნარწყულებში ქვიშა-ხრეშის ნარევის ინტენსიური მოპოვებით, აგრეთვე შესრულების ვადა გაუვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ნოემბრის № 555 დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგება საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ სამინისტროებსა და ორგანიზაციებს 1976 წლის 1 იანვრიდან ქვიშისა და ხრეშის მოპოვება შავი ზღვის სანაპიროსა და ზღვაში ჩამავალ მდინარეთა ყველა უბანზე, წყურგილისა და ჭოროხის მექანიზებული კარიერების, მდინარე რიონის შესართავის, აგრეთვე მიუსერის კონგლომერატების საბადოს გარდა.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ფოთის, მახარაძის, ლანჩხუთის, ხობისა და ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული სა-

ბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ინერტული მასალების დამუშავებული კარიერების რეკულტივაციის სამუშაოთა დამთავრება 1975 წელს და მათი გადაცემა მეურნეობებისათვის კუთვნილებისამებრ, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ეს სამუშაო შეასრულოს 1976 წლის დამლევამდე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დააჩქაროს ქვიშისა და ხრეშის კარიერის მშენებლობა დაზვერილი ენგურის საბადოს ბაზაზე (მდინარე ენგურის რკინიგზის ხიდის ზემოთ).

4. დაევალოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს შეისწავლოს სოფელ მერხეულში მდინარე მაჭარის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის კარიერის მოწყობის შესაძლებლობის საკითხი და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 1 ივლისისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას გაითვალისწინოს 1976 წლის განაცხადების განხილვისას ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოთხოვნილება წყურგილის საბადოს ინერტულ მასალებზე 150 ათასამდე კუბური მეტრის ოდენობით საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრ ნაგებობათა მშენებლობისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შეისწავლონ და წარმოადგინონ წინადადება გარემო ლანდშაფტისათვის საგრძნობი ზარალის მიუყენებლად კლდოვანი ქანების დამუშავებისათვის კარიერის გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ მთავარმომარაგებასა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შეისწავლონ აზერბაიჯანის სსრ ფოილოს კარიერიდან რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დამზადებული ხრეშის გამოზიდვის საკითხი და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 მაისისათვის.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გააძლიერონ აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციების, შავი ზღვის სანაპიროზე ნაპირსამაგრ და მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობათა ზედამხედველობისა და მათი ექსპლუატაციის სამმართველოს და საუწყებო მილიციის მუშაობა პლაჟების დასაცავად, ამასთან არ დაუშვან შემდგომში ხრეშისა და ქვიშის გატანა პლაჟის ზოლიდან, შავ ზღვაში ჩამავალ მდინარეთა ნარწყულებიდან და კალაპოტებიდან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დააწესოს მკაცრი კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1976 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ნოემბრის № 555 დადგენილება „საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე შ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 25 აპრილი, № 272

## 34 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 იანვრის № 18 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და შეიქმნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქ. ქუთაისში განლაგებულ საწარმოთა ბაზაზე ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანება დანართის თანახმად, ამასთან დაექვემდებაროს იგი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს და გავრცელდეს მასზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საწარმოო გაერთიანების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 6 ივლისის № 667 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 29 აპრილი, № 277

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 29 აპრილის № 277
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა**

1. ქუთაისის საგალანტერეო ფაბრიკა (მთავარი საწარმო).
2. ქუთაისის მრავალდარგოვანი კომბინატი.
3. ქუთაისის საშენ მასალათა კომბინატი.
4. ქუთაისის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

№2 ეროვნული ბიბლიოთეკა

## 35 კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების შექმნისა და კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსადმი ამ გაერთიანების დაქვემდებარების შესახებ.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილოს და დაამტკიცოს კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების დროებითი დებულება.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გადასცენ კასპის რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ბალანსიდან კასპის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების ბალანსზე სარწყავი ტექნიკა.

4. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ გადასცეს კასპის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებას ბალანსიდან ბალანსზე კასპის პირუტყვის მიმღები პუნქტის ყოფილი შენობა, საწყობი და პირუტყვის ბინა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად გააფორმოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კასპის პირუტყვის მიმღები პუნქტის ყოფილი შენობა-ნაგებობებით დაკავებული 1,3 ჰექტარი ფართობის გადაცემა კასპის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებისათვის და მასალები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ სახბანკის კასპის განყოფილებაში სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებას გაუხსნას მიმდინარე ანგარიში და კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიში და საჭიროების შემთხვევაში გასცეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები მეპაიე მეურნეობათა გარანტიით.

7. კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანება შეიქმნას იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სამმართველო აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, რომელთა ბაზაზე ის იქმნება.

8. კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებამ უზრუნველყოს კასპის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების რწყვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და შეუფერხებელი რწყვა.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კასპის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებას და შეუქმნან მას მუშაობის ნორმალური პირობები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 30 აპრილი, № 280

## 36 მეფრინველეობაში მასობრივი პროფესიების მუშების მომზადების შესახებ

მეფრინველეობაში მასობრივი პროფესიების მუშების მომზადების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ათი სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში უზრუნველყოს ფართო პროფილის მეფრინველე-ოპერატორებისა და მექანიზატორ-ელექტრომონტიორების მომზადება № 1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები (სადაც მეფრინველეობის პროფესიები შეისწავლება) შეუფერხებლად მოამარაგოს პროფესიის შესწავლისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებით განაცხადების თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოქმედი სასწავლო პროგრამის შესაბამისად მეფრინველე-ოპერატორებისა და მექანიზატორ-ელექტრომონტიორების კადრების მოსამზადებლად შეადგინოს ქართულ ენაზე საჭირო სახელმძღვანელოები. ინსტიტუტში ყოველწლიურად მოეწყოს სემინარები სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის შეკვეთის წესით გამოსცეს საჭირო ლიტერატურა მეფრინველეობაში № 2 დანართის თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ფრინველმრეწვის" და „საქკოლმეურნცხოველმრეწვის" სამმართველოებს უზრუნველყონ მათი მოთხოვნის შესაბამისად მომზადებული კვალიფიციური კადრების სამუშაოზე შეუფერხებლად მოწყობა და შენარჩუნება არსებული წესის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 30 აპრილი, № 281

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 30 აპრილის № 281
დადგენილების დანართი № 1

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

### მეფრინველეობისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად მოსწავლეთა მიღება სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1975-1980 წლებში

| რაიონები | სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების ადგილმდებარეობა | მეფრინველეობის ობიექტების დასახელება | მოთხოვნილება მეფრინველე-ოპერატორებზე ყოველწლიურად | მოთხოვნილება მექანიზატორ-ელექტრომონტიორებზე ყოველწლიურად |
|---|---|---|---|---|
| ყვარლის | ენისელი | ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, ახმეტის მეფრინველეობის ფაბრიკა და თელავის რეპროდუქტორი . . . . | 30 | 30 |
| წითელწყაროს | წითელწყარო | წნორის, მალაროსა და სიღნაღის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, შირაქის მეფრინველეობის ფაბრიკა | 30 | 30 |
| გარდაბნის | სართიჭალა | საგარეჯოს, თბილისის, ნორიოს, გამარჯვების, თამარასისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკები, ნორიოს მეინდაურეობის ფაბრიკა, სამგორის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა, ამიერკავკასიის ზონალური მეფრინველეობის სადგური, თეთრიწყაროს სამომშენებლო მეურნეობა და საგარეჯოს საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა . . . . . . . . . . . . . . | 30 | 30 |
| თიანეთის | თიანეთი | მცხეთის რეპროდუქტორი, დუშეთის სამომშენებლო მეურნეობა და თიანეთის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა . . . . . . . . . . . . . . | 30 | 30 |
| ქარელის | ქარელი | კასპის, გორის, გომისა და ახალციხის მეფრინველეობის ფაბრიკები, კასპის, გორის, ქარელის, ბორჯომისა და ახალქალაქის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები | 30 | 30 |
| ზესტაფონის | ზესტაფონი | ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, თერჯოლის, ამბროლაურის, ონისა და ლენტეხის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, წყალტუბოსა და საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკები . . . . . . . | 30 | 30 |



შეკ. 36

| რაიონები | სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების ადგილ-მდებარეობა | მეფრინველეობის ობიექტების დასახელება | მოთხოვნილება მეფრინველე-ოპერატორებზე ყოველწლიურად | მოთხოვნილება მე-ქანიზატორ-ელექ-ტრომონტიორებზე ყოველწლიურად |
|---|---|---|---|---|
| წულუკიძის | წულუკიძე | ვანის, მაიაკოვსკის, წულუკიძისა და აბაშის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები და სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . | 30 | 30 |
| ლანჩხუთის | ლანჩხუთი | ჩოხატაურის, ლანჩხუთის, მახარაძისა და ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკა . . . . . . . . | 30 | 30 |
| ხობის | ნოჯისხევი | ხობის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩოხატაურის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკა, ცხაკაიასა და ხობის რეპროდუქტორები . . . . . . . . | 30 | 30 |
| გალის | გალი | სოხუმის, გულრიფშის, გალის, გაგრის, გუდაუთისა და ოჩამჩირის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, ოჩამჩირისა და გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკები . | 30 | 30 |
| | | სულ . . . . . . . | 300 | 300 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 30 აპრილის № 281
დადგენილების დანართი № 2

## გამოსაცემი ლიტერატურის სია

| ლიტერატურის დასახელება | ნაბეჭდი ფორმის რაოდენობა | გამოცემის წელი |
|---|---|---|
| 1. მეფრინველეობის მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება . . . . . . . . | 3 | 1976 |
| 2. ინკუბაცია . . . . . . . . . . . . | 4 | 1976 |
| 3. კვერცხის წარმოების ტექნოლოგია . . . . . | 5 | 1976 |
| 4. ხორცის წარმოების ტექნოლოგია . . . . . | 5 | 1977 |
| 5. ფრინველის კვება . . . . . . . . . . | 4 | 1978 |
| 6. ფრინველის დაავადებანი . . . . . . . | 4 | 1978 |
| 7. მეფრინველეობის მექანიზაცია და ავტომატიზაცია | 5 | 1976 |
| 8. მეფრინველეობის ცნობარი . . . . . . . | 4 | 1973 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

**№ 2 1975 года**

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-75 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108 1/16
საბეჭდი თაბახი 3,5, სააღრიცხვო თაბახი 3,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 707 უე 04850 ტირაჟი 1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა